



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

25 მარტი 2025



N 152/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბათუმის წყალის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ბათუმის წყალმა“ (ს/კ - 245556679) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 12 დეკემბერს წარმოადგინა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბათუმის წყალის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N716/ს; 19.12.2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმომებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია გარემოსდაცვითი კონსულტანტის თამარ ნასუაშვილის მიერ.

ქ. ბათუმის მერიის ადგილის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაზე, 2009 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №532 ბრძანებით გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, (საფუძველი, №93 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა). „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 20 ივნისის №2-480 ბრძანებით ქ. ბათუმის მერიაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს N2-687 ბრძანების საფუძველზე გადაეცა შპს „ბათუმის წყალს“ (შპს „ბათუმის წყალის“ 100%-იანი წილის მფლობელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი).

2024 წლის 27 მაისს შპს „ბათუმის წყალის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N39, ბრძანება N 342/ს, 04.07.2024).

არსებული გამწმენდი ნაგებობა დაპროექტდა მოსახლეობის არსებული და საპროგნოზო რაოდენობის გათვალისწინებით (2028 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობის მოსალოდნელი ზრდა შეადგენდა 200 000 ადამიანს). 2011 წელს, ბათუმის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან ხუთი ადმინისტრაციული ერთეულის გაერთიანებამ გამოიწვია ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ზრდა. 2024 წლის ზაფხულის ფაქტობრივი მონაცემებით, ბათუმში და მის შემოგარენში მოსახლეობის რაოდენობა იყო - 275 000.

წარმოდგენილი საქმიანობა ითვალისწინებს არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და წარმადობის გაზრდას, რისთვისაც დაგეგმილია ახალი ინფრასტრუქტურული ნაგებობის/დანადგარის მოწყობა არსებული გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ, საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა, რომელიც დამატებით მოემსახურება აეროპორტის, სამრეწველო და კახაბერის ადმინისტრაციულ ერთეულებს.

არსებული გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში, შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით, შპს „ბათუმის წყალის“ საკუთრებაში არსებულ 103 262 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.05.066). ტერიტორიას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ქ. ბათუმის აეროპორტის დასახლება (უახლესი მოსახლე 840 მ), ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (1800 მ) და აეროპორტის ასაფრენი ბილიკი (550 მ), სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით - შავი ზღვა და ჭოროხის დელტა, აღმოსავლეთით - ბათუმის კარტინგის სკოლა (15 მ) და ადლიის დასახლება (750 მ). საწარმოს ტერიტორიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 მეტრში - საცხოვრებელი დანიშნულების მწყემსების მოსასვენებელი ნაგებობა, ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით - საავტომობილო გზა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, არსებული გამწმენდის მიმდებარედ მოხდება გამწმენდი ნაგებობის გაფართოება, დაახლოებით 5 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც აღმოსავლეთით ესაზღვრება არსებულ გამწმენდ ნაგებობას. საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას. მხოლოდ ერთ ნაკვეთზე ფიქსირდება კერძო საკუთრება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობა განხორციელდება მხოლოდ აღნიშნული ნაკვეთის დადგენილი წესით გამოსყიდვის შემდეგ.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შესახებ. განხილულია არაქმედების (ნულოვანი ვარიანტი), ახალი გამწმენდი ნაგებობის განთავსების, არსებული გამწმენდი ნაგებობის გაფართოებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური ალტერნატიული ვარიანტები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აუცილებლობა დასაბუთებულია ბათუმსა და მის შემოგარენში, მოსახლეობის რაოდენობის ზრდით (კვლევის მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა 2040 წლისთვის საკურორტო სეზონის გათვალისწინებით შეადგენს - 414 000 ადამიანს), აეროპორტის, ინდუსტრიულ და კახაბერის დასახლებებში საკანალიზაციო სისტემის აუცილებლობით (ტერიტორიებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები უკონტროლოდ ჩაედინება გრუნტში და ზედაპირული წყლის ობიექტებში.) გამწმენდი ნაგებობის გაფართოების პროექტისთვის არსებული გამწმენდი ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევა დასაბუთებულია არსებული და საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების ერთიან სისტემაში ექსპლუატაციით. ადლიის გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიურ ალტერნატიულ ვარიანტებად განხილულია: ფიტო გაწმენდა ხელოვნური ტბორების გამოყენებით, ანაერობული აუზები და წვეთოვანი ფილტრები და ლამის მართვის ალტერნატივები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შერჩეულ იქნა ანაერობული აუზების და წვეთოვანი ფილტრების ტექნოლოგია, არსებული და დაგეგმილი ტექნოლოგიური დანადგარების ერთიან სისტემაში ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიის ეფექტურობის გათვალისწინებით.

არსებული გამწმენდი ნაგებობისთვის გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლის წმენდა წვეთოვანი ფილტრების და ანაერობული აუზების სისტემის საშუალებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში უცვლელი რჩება არსებული გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური პროცესი. გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლის მიმღები მილსადენი (სადაწნეო ხაზი) დაკავშირებულია დახურულ შენობაში განთავსებულ ცხაურებთან (ე.წ. სკრინინგებთან) და ქვიშადამჭერებთან, სადაც ხდება ჩამდინარე წყლის მექანიკური წმენდა (მსხვილ და წვრილ ცხაურზე). ცხაურზე დარჩენილი მინარევები თავსდება შესაბამის კონტეინერებში, ხოლო მინარევებისგან გაწმენდილი წყალი გადადის ანაერობულ აუზებში, სადაც ხდება მათი ბიოლოგიური დამუშავება და აქტიური ლამის წარმოქმნა. ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ერთეული ანაერობული აუზი. ანაერობული აუზებიდან ლამის გატანა ხდება პერიოდულად ლამის გამრობის უბანზე, ხოლო აუზებში გაწმენდილი წყალი, შემდგომი დამუშავების მიზნით გადადის წვეთოვან ფილტრებში. წვეთოვანი ფილტრებიდან გამოსული გაწმენდილი წყალი გადადის საბოლოო დალექვის აუზში, სადაც მიმდინარეობს გაწმენდილ წყალში არსებული მინარევების დალექვის პროცესი. აუზებში დალექილი ლამი ტუმბოს საშუალებით ბრუნდება ანაერობულ აუზში და თავიდან გადის სტაბილიზაციის პროცესებს, ხოლო საბოლოოდ გაწმენდილი წყალი გადადის სატუმბ სადგურში (გადამღვრელი სადგური), საიდანაც მილსადენის საშუალებით ჩაედინება შავ ზღვაში. გამწმენდი ნაგებობის ტერიტორია მთელ პერიმეტრზე შემოღობილია და აღჭურვილია განათების სისტემით. ობიექტის ელ. მომარაგება ხორციელდება ტერიტორიაზე მოწყობილი ტრანსფორმატორით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გამწმენდი ნაგებობის დღიური შემოდიდება/წარმადობა უნალექო ამინდის პირობებში იქნება 102200 მ³ (მაქსიმალური საპროექტო ნაკადის ჯამური შემოდიდება უნალექო ამინდის პირობებში შეადგენს - 5700 მ³/სთ, ხოლო ნალექიან ამინდში - 9180 მ³/სთ-ს). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია შემდეგი დამატებითი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა: 4 ერთეული გამცხრილავი, 4 ერთეული ქვიშის და ცხიმის დამჭერი, 6 ერთეული პირველადი დალექვის სალექარი, 12 ერთეული დენიტრიფიკაციის აუზი, 34 ერთეული შუალედური დალექვის სალექარი, 11 ერთეული წვეთოვანი ფილტრი, 4 ერთეული საბოლოო დალექვის სალექარი, 3 ერთეული ლამის გამასქელებელი, 4 ერთეული ლამის მეზოფილური დაიჯესტერი, 2 ერთეული აირის დამჭერი, 2 ერთეული თბოელექტროცენტრალი (CHP).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემიდან შეგროვილი ნაკადების მიღება დაგეგმილია ახალი მიმღები კამერის საშუალებით. აქ ჩამდინარე წყლების შემოდიდება ნაწილდება მექანიკური გაწმენდის ორ ხაზზე. პროექტის მიხედვით, გამწმენდ ნაგებობაზე მიღებული შემოდიდების 1/3 ნაწილდება მექანიკური გამწმენდის არსებულ, ხოლო 2/3 - ახალ ხაზზე. პროცესების მართვის მიზნით მექანიკური გამწმენდის ორივე ხაზის შემსვლელ მილზე მოხდება ნაკადმზომების მონტაჟი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიმღები კამერა დაკავშირებული იქნება ავარიულ გადამღვრელებთან გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, ასევე კამერებთან გათვალისწინებულია საასენიზაციო ავტომანქანების მიღების პუნქტის მოწყობა, სეპტიკებიდან ამოტუმბული ჩამდინარე წყლების და სანიაღვრე სისტემების წმენდის შედეგად დაგროვილი ლამის მისაღებად.

ადლიის გამწმენდ ნაგებობაზე შემოსული ჩამდინარე წყლების ნაკადი (2/3 ნაწილი) პირველად სალექარებზე გაივლის მექანიკური გაწმენდის პროცესს. ბიოლოგიური გაწმენდის ეტაპზე აზოტის მოცილება ემყარება ნიტრიფიკაციისა და დენიტრიფიკაციის პროცესს. ფოსფორის მოცილება მოხდება ქიმიური პროცესების საშუალებით. ბიოლოგიური გაწმენდის ეტაპზე გადასვლამდე, ჩამდინარე წყლების სამივე ნაკადის გაერთიანება მიმდინარეობს სელექტორის ნაგებობაში, სადაც ხდება მათი შერევა ნიტრატებით გაჯერებულ შიდა რეცირკულაციის წყალთან. ჩამდინარე წყლები შემდგომში გაივლის

დენიტრიფიკაციის ეტაპსა და წვეთოვანი ფილტრებში გაწმენდის პროცესს. შუალედური გამწმენდების შემდეგ, ჩამდინარე წყლები სატუმბი სადგურის მეშვეობით მიედინება წვეთოვან ფილტრებამდე ნახშირბადის მოცილებისა და ნიტრიფიკაციისთვის. წვეთოვანი ფილტრების შემდეგ, ჩამდინარე წყლების ნაკადის ნაწილი კვლავ მიეწოდება დენიტრიფიკაციის ეტაპს და სელექტორს. ჩამდინარე წყლების ნაწილი გადამისამართდება საბოლოო სალექრებისკენ, ახალი გამანაწილებელი კამერის საშუალებით. საბოლოო სალექრებში გაწმენდილი ჩამდინარე წყლებიდან ლამის ნაწილაკები გამოიყოფა დალექვის მეთოდით. განცალკევებული ლამი, შემასქელებლების მეშვეობით მიეწოდება დაიჯესტერებს ლამის შემდგომი დამუშავებისთვის. ანაერობული ლამის დამუშავების შემდეგ, მიმდინარეობს დაიჯესტერებიდან და ანაერობული აუზებიდან მიღებული ლამის გაუწყლოვნება და დასაწყობება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 2030 წლისთვის, ადლიის გამწმენდი ნაგებობა ყოველდღიურად გამოიმუშავებს 32 მ³ მოცულობის ლამს.

გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება შავ ზღვაში DN1000 მმ დიამეტრის მილის მეშვეობით (ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X- 714155; Y-4610156), რომლის ჰიდრავლიკური წარმადობა წამში შეადგენს 1580 ლიტრს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში (ნალექიანი ამინდის პირობებში, როდესაც გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჯამური მოცულობა გადააჭარბებს საპროექტო სატუმბი სადგურისა და ზღვაში გამსვლელი მილის გამტარუნარიანობას) გათვალისწინებულია ახალი ჩაშვების წერტილის მოწყობა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულ ბათუმის მერიის მფლობელობაში არსებულ სანიაღვრე არხში შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. არხი, გამწმენდი ნაგებობიდან დაახლოებით 800 მეტრში უერთდება მდ. ჭოროხს (არხისა და მდ. ჭოროხის შესართავის GPS კოორდინატია: X- 714814; Y-4609124).

დოკუმენტის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობა ხასიათდება შემდეგი მნიშვნელობებით - TSS (შეწონილი ნაწილაკები) – 35 მგ/ლ; ჟმმ - 25მგ/ლ, ჟქმ - 125 მგ/ლ. საერთო აზოტი შეადგენს 10 მგ/ლ და საერთო ფოსფორი 1 მგ/ლ-ს.

ჩამდინარე წყლების დამუშავების არსებული პროცესი არ ითვალისწინებს ბიოგაზის წარმოებას, ახალი ინფრასტრუქტურის საშუალებით კი ეს შესაძლებელი იქნება. კერძოდ, როგორც აღინიშნა გასქელებული პირველადი და მეორადი ლამი შემდგომ დამუშავებას და სტაბილიზაციას გადის მეზოფილურ დაიჯესტერებში. მეზოფილური ანაერობული დაიჯესტირება არის ბიოლოგიური პროცესი, რომელიც გამოიყენება ორგანული ნივთიერებების დასაშლელად უქანგბადო სივრცეში 30°C-დან 40°C-მდე. მეზოფილური დაიჯესტერების პროცესი ხელს შეუწყობს ლამის მთლიანი მოცულობის შემცირებას დაახლოებით 30-35%-ით. დაიჯესტერები ასევე მაქსიმალურად გაზრდის ბიოგაზის წარმოებას. ბიოგაზი მეზოფილური დაიჯესტერებიდან გაიწმინდება და შეინახება გაზის დამჭერში. გაწმენდილი ბიოგაზის მიწოდება მიმდინარეობს თბოელექტროცენტრალის შიდა წვის ძრავაში, გაზის ტურბინაში, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ელექტრო ენერგიის გენერატორთან. თბოელექტროცენტრალების (2 - თითოეულის წარმადობა - 0,35 მგვ) საშუალებით გამომუშავებული ელ. ენერგია გამოყენებული იქნება, როგორც დაიჯესტერების გასათბობად, ასევე ადლიის გამწმენდი ნაგებობის ელ. ენერგიით მომარაგების მიზნით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდება ცენტრალური წყალანირების სისტემის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (სატუმბი სადგურების, სადაწნეო მილსადენების, ძირითადი თვითდენითი კოლექტორების და ქსელების) მოწყობა. ადმინისტრაციული ერთეულების რელიეფის გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორია დაყოფილია შვიდ წყალშემკრებ ზონად (აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეული – 3 წყალშემკრები ზონა, ინდუსტრიული ადმინისტრაციული ერთეული – 1 წყალშემკრები ზონა, კახაბრის ადმინისტრაციული ერთეული – 3 წყალშემკრები ზონა). საკანალიზაციო სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია ქ. ბათუმში არსებული გზების დერეფნებში. თითოეული წყალშემკრები ზონის შემთხვევაში გათვალისწინებულია

სადაწნეო მილსადენების, ძირითადი კოლექტორებისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, რომელთა ჯამური სიგრძე დაახლოებით 26 კმ-ია. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია სამი სატუმბი სადგურის განთავსება. ერთი სატუმბი სადგურის - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ. 05.32.18.194), ორი სატუმბი სადგურის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე (ს/კ. 05.32.02.188) და 05.25.12.026). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სატუმბი სადგურებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფა და ბათუმის მუნიციპალიტეტზე გადაცემის პროცედურა მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეული სატუმბი სადგურის აღჭურვა მოხდება სამი ერთეული ავტომატური მართვის სისტემის მშრალი ტიპის ტუმბოთი, შესაბამისი გამცხრილავით და ელევატორით, შემოსული გაბარიტული ნარჩენების მოსაშორებლად. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს 2 წლის განმავლობაში (წელიწადში 280 სამუშაო დღე). მშენებლობის დროს დასაქმებული იქნება 50 ადამიანი, საიდანაც 50-60 % იქნება ადგილობრივი მაცხოვრებელი.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის სამშენებლო ბანაკის, მათ შორის ბეტონის კვანძის და სხვა მსგავსი სტაციონარული ობიექტების მოწყობა. მშენებლობისთვის საჭირო ბეტონის შემოტანა მოხდება ბეტონმზიდებით. საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სამშენებლო ტექნიკის ბაზის მოწყობა. საოფისე მიზნებისთვის დაგეგმილია არსებული გამწმენდის ტერიტორიაზე განთავსებული საოფისე და დამხმარე შენობების, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე მცირე ზომის კონტეინერების განთავსება-გამოყენება (სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების, მექანიკური დამუშავების უბნის, სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის განსათავსებელი მოედნის და სხვა). ახალი გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერი (მოცულობა 1200 მ³) ფენის დროებითი დასაწყობების უბნის მოწყობა. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის შიდა მოედნების სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, არსებული გამწმენდი ნაგებობა და საპროექტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობი ტერიტორია მოქცეულია ზურმუხტის ქსელის საიტის „ჭოროხის დელტა GE0000054“ (ჭოროხის დელტა წარმოადგენს ყოველწლიურად 1,4 მლნ გადამფრენი ფრინველის ჰაბიტატს) და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორიის „Batumi 1“ ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ჩატარებული ფაუნისტური კვლევის შედეგად საკვლევ ზონაში და მის მიმდებარედ გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 20, ფრინველების 301 (აქედან, 23 მობუდარი სახეობა), ქვეწარმავლების 12 (საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან აღსანიშნავია: კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*)) სახეობა, დასავლეთ მცირე კავკასიონის ენდემური სახეობებიდან: წითელმუცელა ხელიკი (*Darevskia parvula*) და ამფიბიების 7, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი (ხეშმწკრივანები (*Coleoptera*), ნახევრადხეშმწკრივანები (*Hemiptera*), ქერცლფრთიანები (*Lepidoptera*), სიფრიფანაფრთიანები (*Hymenoptera*), სწორფრთიანები (*Orthoptera*), მოკლეზედაფრთიანი ხოჭოები (*Staphylinidae*), ჩოქელები (*Mantodea*), ნემსიყლაპიები (*Odonata*) და სხვა) სახეობა. გზშ-ის ანგარიშს თანახმად, საველე კვლევისას არ დაფიქსირებულა ძუძუმწოვრების დაცული სახეობები, ასევე მათი სასიცოცხლო ნიშნები (კვალი, ექსკრემენტი, ბეწვი, სორო და ა.შ.).

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA) და ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიების (IBA) საზღვრებში, კერძოდ: SPA 16 Batumi, SPA 15 Chorokhi Delta და IBA - Batumi GE014. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქართველოს წითელი ნუსხით და საერთაშორისო (IUCN) წითელი ნუსხით დაცული სახეობები არ დაფიქსირებულა. ტერიტორია 8 კმ-ით არის დაშორებული მტირალას ეროვნული პარკიდან.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ზურმუხტის ქსელზე („ჭოროხის დელტა GE0000054“-ის) ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება (ზზშ-ს ანგარიში), რომლის თანახმად პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ზურმუხტის ქსელის მიღებულ უბანზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს. ზეგავლენის ზონებში და მის მიმდებარედ არ დაფიქსირებულა კრიტიკული მნიშვნელობის, იშვიათი ჰაბიტატები და სახეობების მაღალი კონცენტრაციის ადგილები. საპროექტო ტერიტორიებზე არ არის წარმოდგენილი ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნის სტანდარტული ფორმის მიხედვით მოცემული ფაუნის სახეობებისთვის საბინადრო კრიტიკული ჰაბიტატები.

საპროექტო ტერიტორიებზე ვხვდებით შემდეგ ჰაბიტატებს: G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; S38 - ზომიერი სარტყლის ნატყევარზე განვითარებული ბუჩქნარი; G5.2 - მცირე ფართოფოთლოვანი ფოთლომცვენი ანთროპოგენური ტყეები; E2 - მეზოფილური მდელოები; E3.4 - ტენიანი ან წყლით გაჟღენთილი ევტროფული და მეზოტროფული მდელოები; C1 - ზედაპირული მდგარი/შენელებული წყალცვლის წყლები; H5.6 - ხრიოკი ადგილები; I - რეგულარულად ან ახლახან დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, ბაღები და საკარმიდამო ნაკვეთები; J - ნაშენები, ინდუსტრიული და სხვა ხელოვნური ჰაბიტატები.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შავ ზღვაში მობინადრე იქთიოფაუნის შესახებ. დაცულობის სტატუსის გათვალისწინებით საპროექტო მონაკვეთში გავრცელებულია იქთიოფაუნის 21 სახეობა, მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები - კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldi* Steindachner) და შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax*). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სახეობების დაცულობა განისაზღვრა ბუნების კონსერვაციის ინტერნაციონალური კავშირის - IUCN და საქართველოს წითელი ნუსხით მინიჭებული (თევზების სახეობებისთვის) დაცულობის სტატუსების მიხედვით. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან, ზუთხისებრთა ოჯახის (*Acipenseridae*) წარმომადგენლების გავრცელება საპროექტო მონაკვეთში მოსალოდნელი არ არის. ანგარიშის თანახმად, ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის პალიასტომის ღიპა ქაშაყზე (*Alosa caspia paleostomi* (Sadowsky, 1934)), რომელიც გავრცელებულია შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად ფოთისა და ანაკლიის მიდამოებში. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია შავ ზღვაში მობინადრე ძუძუმწოვრების შესახებ, ასევე დელფინების სამი სახეობის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნულ სახეობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტექნიკური მიზნებისათვის (გრუნტით დაფარული უბნების მოსარწყავად). სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება (3500 ტ/წელიწადში) მშენებლობის ეტაპზე მოხდება არსებული გამწმენდი ნაგებობის წყალმომარაგების ქსელიდან, ასევე ბუტილირებული წყლის საშუალებით, ხოლო ტექნიკური მიზნებისთვის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია სპეც-ავტომობილით, გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებული არხიდან, ბათუმის მერიასთან გაფორმებული შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. სამშენებლო მოედანზე სამეურნეო-ფეკალური წყლებისთვის (3150ტ). გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოს ან ბიო-ტუალეტის მოწყობა, რომელიც განიტვირთება სპეციალური ავტომობილით და მოხვდება გამწმენდ ნაგებობაში. მშენებლობის ეტაპზე, სანიაღვრე წყლების არინების მიზნით, სამშენებლო უბნებზე გათვალისწინებულია სანიაღვრე წყლების არინების არხების და სასედიმენტაციო გუბურების განთავსება. დაბინძურებული სანიაღვრე წყლები სასედიმენტაციო გუბურებიდან შეგროვდება რეზერვუარში და მისი მართვა განხორციელდება სხვა სახიფათო ნარჩენებთან ერთად, ხოლო სუფთა სანიაღვრე წყლები, სასედიმენტაციო გუბურებიდან ჩაშვებული იქნება გრუნტში. მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება წყლის ხარისხის მონიტორინგი.

ექსპლუატაციის ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთდება გამწმენდ ნაგებობასთან. პროექტით გათვალისწინებულია ტექნიკური წყლის გამოყენება ხანძარსაწინააღმდეგო, გაზონების პერიოდული მორწყვის, ფეკალური მასის მიმღები დანადგარის ცხურის სისუფთავის, ლამის ტექნოლოგიური მილების და სხვა დანადგარების პერიოდული რეცხვისთვის. ტექნიკური წყლის აღება მოხდება საბოლოო დაღეპვის ავზიდან. ექსპლუატაციის ეტაპზე, ანაერობულ და გამწმენდ აუზებზე, ასევე გამწმენდი ნაგებობის სხვა ნაგებობებზე მოსული წვიმის წყალი შეგროვდება ამავე აუზებში და ნაგებობაში და ჩაერთვება გაწმენდის ციკლში. გამწვანებულ უბნებზე და ბილიკებზე მოსული სანიაღვრე წყალი ჩაშვებული იქნება გრუნტში.

გზშ-ის ანგარიშში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს საკურორტო ზონაში, მავნე ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობა 1,0-ის ნაცვლად შეცვლილია 0,8 მნიშვნელობით, გარდა ამისა, გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სრული სამუშაო დატვირთვის პირობების გათვალისწინებით, ფონური მნიშვნელობის სახით მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: აზოტის ოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ამიაკი, ნახშირბადის მონოქსიდი, მეთანი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი და ეთილმერკაპტანი. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი ანგარიშისას გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით საჭიროა დაზუსტებული იყოს გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები.

ანგარიშის მიხედვით ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ მნიშვნელობებს შემდეგი ობიექტების მიმართ: ბათუმი კარტინგი (სარბოლო დაწესებულება), უახლოესი საცხოვრებელი დანიშნულების სახლი, ბათუმის აეროპორტი, ხუთას (500) მ-ანი რადიუსის საზღვარი. საწარმოს ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყაროები, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებულია მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების და სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებასთან. შესაბამისი გაანგარიშების მიხედვით, ხმაურის მინიმალური ეკრანირების, მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობის (ყველაზე უარესი სცენარის) გათვალისწინებით სამშენებლო მოედნის ფარგლებში ხმაურის დონე განისაზღვრა 93.5 დბა-ით, ხოლო 510 მ საზღვარზე 38 დბა-ით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო მოედანსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლებს შორის წარმოდგენილი ხე-მცენარეული საფარის არსებობა ხმაურის დონეს შეამცირებს 5 დბა-ით. ხმაურის ყველა წყაროს ერთდროული მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა მოხდება იშვიათ შემთხვევებში და სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. სამშენებლო სამუშაოების დროს ხმაურით უახლოესი მოსახლეობის შეწუხების გამორიცხვის მიზნით გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი მონიტორინგის წარმოება, ხოლო ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების დროს - ხმაურდამცავი დროებითი ეკრანების გამოყენება.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონე, ხმაურის წარმომქმნელი წყაროების გათვალისწინებით (ავტოტრანსპორტი - ვაკუუმური საასენიზაციო მანქანა და სალამე მოედნებთან მოქმედი ავტოდამტვირთავი, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე განთავსებული ტუმბოები), შესაბამისი გაანგარიშებით, გამწმენდის ტერიტორიაზე შეადგენს 60 დბა-ს, ხოლო 510 მ საზღვარზე 7 დბა-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მდგრადია. სამშენებლო მონაკვეთზე, რაიმე სახის, აქტიური, საინჟინრო გეოლოგიური მოვლენა ან პროცესი, რომელიც ხელს შეუშლის საქმიანობას, მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე საქმიანობა არ ითვალისწინებს რაიმე ტიპის აქტივობებს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. საპროექტო აუზების ფსკერი მოეწყობა შესაბამისი წყალგამტარი მასალით, მიმდებარე ტერიტორიის (პროექტის ფარგლებს გარეთ) დაჭაობების და გრუნტის ჯდენის პროცესის გამოსარიცხად. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ექსპლუატაციის ეტაპზე კონტროლის დაწესება სანიაღვრე წყლების ორგანიზებულ გაყვანაზე, ტერიტორიის ფარგლებში ეროზიული პროცესების განვითარების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად.

გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. პროექტი არ ითვალისწინებს სამშენებლო მასალების ადგილზე წარმოებას და შესაბამისად, ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. ვინაიდან გამწმენდი ნაგებობის გაფართოებისთვის შერჩეული ტერიტორია ესაზღვრება მდ. ჭოროხის ჭალას (სადაც გრუნტის წყლების დგომის დონე საკმაოდ მაღალია), მიწის სამუშაოების დროს, შენობა-ნაგებობების ფუნდამენტების ქვაბულების მომზადებისას გრუნტის წყლების შემოღინების და მათი დაბინძურების რისკების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილია ტერიტორიაზე დამაბინძურებელი ნივთიერებების მცირე მარაგის განთავსება და სამუშაოების მოკლე დროში განხორციელება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია აგრეთვე წყლის გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე (მდინარისპირა სამუშაოების შესრულება განხორციელდება შეზღუდულ ვადებში, შეძლებისდაგვარად უნაღვეო პერიოდში, ტექნიკურად გამართული სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, მანქანა/დანადგარები და პოტენციურად დამაბინძურებელი მასალები განთავსდება ზედაპირული წყლის ობიექტებიდან და შენობა-ნაგებობების მოწყობისთვის ამოღებული ქვაბულებიდან მოშორებით, გამწმენდი ნაგებობის დანადგარ-მოწყობილობის, ტექნოლოგიური მილსადენების ტექნიკური გამართულობაზე დაწესდება მუდმივი კონტროლი და სხვა). ასევე მონიტორინგის გეგმით, თვეში ორჯერ გათვალისწინებულია ჩაშვებამდე გაწმენდილი ჩამდინარე წყლის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. ჭოროხი, შავი ზღვა) ლაბორატორიული ანალიზი შემდეგ პარამეტრებზე: PH, შეწონილი ნაწილაკები, ჟბმ, ჟქმ, საერთო აზოტი, საერთო ფოსფორი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გრუნტის წყლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში საპროექტო ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო მოცულობაა - 1200 მ³, რომელიც დროებითი დასაწყობდება გამწმენდი ნაგებობის ნაკვეთის საზღვრებში, ისეთ უბნებში, სადაც სანიაღვრე წყლების ზეგავლენის ალბათობა არის ნაკლები, საჭიროების შემთხვევაში სანიაღვრე არხების მოწყობის უზრუნველყოფით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოხსნილი ნაყოფიერი ფენა სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ნიადაგის ხარისხზე და სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გათვალისწინებულია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარება ზემოქმედების შემცირების მიზნით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საყოფაცხოვრებო (50 მ³/წელ), სახიფათო (3-5 მ³/წელ) და მყარი ნარჩენების წარმოქმნა, მათ შორის სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოდგენილია აზბესტშემცველი მასალები. მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტის მოცულობაა - 1200 მ³, რომლის 70 % გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის (ტერიტორიის მოსწორება-ამოვსებისთვის, უკუყრილებისთვის და სხვ.), ხოლო დარჩენილი 30 % შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე განთავსდება ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პროცესში ამოღებული გრუნტი დროებით განთავსდება თხრილების გასწვრივ, გრუნტის დაახლოებით 95% გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, მოეწყობა შესაბამისი სათავსო ნარჩენების ორგანიზებული შეგროვებისთვის. არასახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები სამართავად გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს.

ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების მიმღებ კამერაში, პირველად და მეორად გისოსებზე დაგროვილი მყარი მასალის და ლამის ნარჩენების მართვა. გისოსებზე დაგროვილი მყარი მასალა და სტაბილიზებული ლამი, სათანადოდ დამუშავების, გაუწყლოვნების შემდეგ გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შპს „აჭარის მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ შეთანხმებით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (არაორგანული მტვერი, წვის პროდუქტები) ემისიებზე, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებაზე, გარემოს (ნიადაგი, წყლის გარემო) ნარჩენებით დაბინძურების რისკებზე, ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებაზე და ადამიანის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ დაფიქსირდა ელექტროგადამცემი ხაზის ანძების მონტაჟი. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებამდე ელექტროგადამცემი ხაზის სამუშაოები იქნება დასრულებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უბანზე ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით კონკრეტულ რეცეპტორებზე სხვადასხვა სახის კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ასევე წერილობით გაიგზავნა ხელვაჩაურის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტების მერიებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 6 თებერვალს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ბათუმის წყალის“, გარემოსდაცვითი კონსულტანტი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. როგორც საჯარო განხილვაზე, ასევე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით კითხვები და წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის, ამავე კოდექსის I დანართის მე-20 პუნქტისა და II დანართის 9.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბათუმის წყალის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ბათუმის წყალმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა შესაბამისი მაჩვენებლები. უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მოცემული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სხვა საკითხებთან ერთად, ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევის რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, როგორც ობიექტიდან უახლოესი სახლის საზღვარზე, ასევე კარტინგის სპორტულ ნაგებობასთან. გეგმაში ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები და შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდზე (NOx) და გოგირდწყალბადზე (H₂S) ობიექტის მაქსიმალური დატვირთვის პირობებში 6 თვეში ერთხელ და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ;
6. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;

7. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს შპს „ბათუმის აეროპორტთან“ და სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შესაბამისი დოკუმენტაციის შეთანხმება და საქმიანობა განახორციელოს შეთანხმების შესაბამისად;
8. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესთანხმებლად წარმოდგენა (მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის), რომელშიც ასევე ასახული იქნება: ფრინველებზე მოსალოდნელი ზემოქმედების თავიდან აცილების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ზემოქმედების კონკრეტული სახეების მიხედვით, ასევე ფრინველებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრისა და განხორციელების მიზნით. ამასთან, გეგმაში უნდა განისაზღვროს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი;
9. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
10. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოს გამწმენდი ნაგებობიდან წყლის ჩაშვების წერტილების ლოკაციებზე იქთიოლოგიური შეფასების/მონიტორინგის წარმოება, შესაძლო ნეგატიური გავლენის დონის განსაზღვრისთვის;
11. შპს „ბათუმის წყალმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
12. შპს „ბათუმის წყალმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
13. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის წყალს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
14. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის წყალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
15. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ქ. ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

3. 

<https://edocument.ge/mea/public/#/152-21-4-202503251535>

